

## გამოყენებული ტერმინები და განმარტებები:

ვებ.გვერდი - ვებ გვერდი: <http://www.karlson.ge> იგივე <http://karlson.ge/>

კომპანია - ვებ გვერდი <http://www.karlson.ge>-ს მმართველი კომპანია, შპს "აფრაიზერი" საიდენტიფიკაციო კოდი 405021667.

მომხმარებელი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს ვებ.გვერდის მომსახურებით, ანთავსებს ან ეძებს მასზე ინფორმაციას.

განცხადება - ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებას, პროდუქტისა და მომსახურების მიწოდების შესახებ ინფორმაციას.

## ხელშეკრულების ძირითადი პირობები:

- 1.1. კომპანია ვებ.გვერდის საშუალებით არის მხოლოდ შუამავალი, რომელიც ეხმარება გამყიდველს და მყიდველს გამქირავებელს და მქირავებელს დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რაც გამორიცხავს მის პასუხისმგებლობას დაკავშირებულ შემდგომ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაზე მომხმარებელსა და მესამე პირებს შორის. ამასთან, მმართველი კომპანია არ არის ვალდებული, გადაამოწმოს უძრავი ქონების საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები;
- 1.2. კომპანიას არ ეკუთვნის ვებ.გვერდზე განთავსებული არცერთი პროდუქტი და არ ფლობს არანაირ დამატებით ინფორმაციას მათი რეალური მდგომარეობის შესახებ;
- 1.3. კომპანია პასუხს არ აგებს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტესა და ამასთან დაკავშირებით მიყენებულ ზარალზე და მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს;
- 1.4. განცხადებაში მითითებული ობიექტის ხარისხი, უსაფრთხოება, კანონიერება და აღწერასთან შესაბამისობა არ კონტროლირდება კომპანიის მიერ;
- 1.5. ნებისმიერი მომხმარებელი ვებ.გვერდზე პირად ინფორმაციას ანთავსებს თავისი სურვილით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და განთავსებისას ეთანხმება, რომ ეს ინფორმაცია იქნება ღია და ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლება მისი ნახვა;
- 1.6. მომხმარებელი თავის თავზე იღებს ყველა რისკს დაკავშირებულს ამ ინფორმაციის გავრცელებასთან;
- 1.7. ვებ.გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას არ აქვს არავითარი იურიდიული ძალა.

## 2. განცხადების განთავსების წესები და პირობები:

- 2.1. განცხადების ვებ.გვერდზე განთავსებისთვის აუცილებელია მომხმარებელმა გაიაროს რეგისტრაცია და დაეთანხმოს <http://www.karlson.ge> -ს წესებს და პირობებს;
- 2.2. მომხმარებლის მიერ ვებ.გვერდზე განცხადების განთავსება შესაძლებელია მომსახურების უფასო მიწოდების შემთხვევაში უფასოდ, ხოლო მომსახურების ფასიანი მიწოდების შემთხვევაში შესაბამისი ღირებულების გადახდის შემდეგ;
- 2.3. მომხმარებელს შეუძლია განათავსოს განცხადება უძრავი ქონების შესახებ. მათ შორის: ბინების, კერძო სახლების, კომერციული ფართების, მიწის ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების შესახებ.
- 2.4. ახალი და მშენებარე მთლიანი კომპლექსების და კორპუსების შესახებ განცხადების განთავსება შესაძლებელია მხოლოდ ფასიან განყოფილებაში „ახალი და მშენებარე ობიექტები“.
- 2.4. განთავსებული განცხადებების რაოდენობა არ არის შეზღუდული;
- 2.5. მომხმარებელს არ აქვს უფლება საიტზე განათავსოს განცხადება, რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას;
- 2.6. განცხადების განთავსებით მომხმარებელი ადასტურებს, რომ მას აქვს განცხადებაში მითითებული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება;
- 2.7. განცხადება არ უნდა შეიცავდეს არაკორექტულ შინაარსს ან ტერმინს და არ უნდა არღვევდეს მორალისა და ეთიკის ნორმებს, არ უნდა ემსახურებოდეს თაღლითობას, ტყუილს, ან ნდობით ბოროტად სარგებლობას;
- 2.8. განცხადება არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც შელახავს მესამე პირის უფლებებს, ღირსებას ან რეპუტაციას;
- 2.9. განცხადება არ უნდა შეიცავდეს რელიგიური, ეთნიკური, თუ სხვა სახის უმცირესობათა დისკრიმინაციას; მუქარას ვინმეს მიმართ, პორნოგრაფიულ შინაარსს;
- 2.10. განცხადება არ უნდა შეიცავდეს სარეკლამო ინფორმაციას განცხადების ობიექტისგან განსხვავებულ თემაზე;
- 2.11. მომხმარებელს არ შეუძლია გამოიტანოს დასკვნა გარეგნის ლეგალურობის შესახებ, გამომდინარე ფაქტიდან, რომ პროდუქცია განთავსებულია საიტზე.

## 3. კომპანიის უფლებები და მოვალეობები:

- 3.1. კომპანია არ არის პასუხისმგებელი არცერთი მომხმარებლის ქმედებაზე. ყველა მოლაპარაკება დგება უშუალოდ მომხმარებლებს შორის;
- 3.2. კომპანია არ აგებს პასუხს ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე;

- 3.3. კომპანია ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ განცხადების განმთავსებელი პირის ვებ.გვერდზე მოცემული მონაცემები არის მისი რეალურ მონაცემები;
- 3.4. ნებისმიერი განცხადება, რომელიც იქნება განთავსებული ვებ.გვერდზე განცხადების განთავსების წესების დარღვევით წაიშლება და მომხმარებლის სახელი, რომლითაც განთავსდა ასეთი განცხადება იქნება დაბლოკილი განცხადების შინაარსიდან გამომდინარე;
- 3.5. წესების დარღვევის გამო დაბლოკვის ვადა განისაზღვრება კომპანიის ადმინისტრაციის მიერ;
- 3.6. კომპანიას უფლება აქვს გაფრთხილების გარეშე შეიტანოს კორექტივები ან მოხსნას განცხადება ვებ-გვერდიდან შემდეგი მიზეზების გამო და ამ შემთხვევაში განმცხადებელს განცხადებისთვის გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება:
- განმცხადებლის ასეთი განცხადება უკვე არსებობს ვებ-გვერდზე;
  - განთავსებული ინფორმაცია ეწინააღმდეგება წინამდებარე „გამოყენების წესებს“;
  - განცხადების ტექსტი შეიცავს ძალიან ბევრ ორთოგრაფიულ და პუნქტუაციურ შეცდომას;
  - განცხადების სურათები უხარისხოა ან აზრობრივად არ შეესაბამება განცხადების შინაარსს;
  - განცხადება განთავსებულია სხვა რუბრიკაში.
- 3.7. კომპანიას უფლება აქვს შეწყვიტოს ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება ნებისმიერ დროს;
- 3.8. კომპანია არ აგებს პასუხს ვებ.გვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე, ასევე შეტყობინების დაკარგვაზე;
- 3.9. კომპანია არ იძლევა გარანტიას ვებ.გვერდის მუდმივ და შეუფერხებელ მუშაობაზე;
- 3.10. შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში კომპანიას უფლება აქვს დაბლოკოს მომხმარებლის IP მისამართი;
- 3.11. კომპანიას შეუძლია შეცვალოს ეს შეთანხმება ყოველგვარი სპეციალური შეტყობინების გარეშე.

#### **4. მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები**

- 4.1. მომხმარებელს ეკრძალება განცხადებაში ნებისმიერი სახის რეკლამირება ან სხვა ვებ.გვერდის ბმულის მითითება;
- 4.2. მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ვებ.გვერდის წესების შესაბამისად და აგოს პასუხი ვებ.გვერდზე თავის ქმედებებზე საქართველოს კანონმდებლობით;
- 4.3. მომხმარებელს არ აქვს უფლება გადასცეს თავისი მომხმარებლის სახელი და პაროლი მესამე პირს;
- 4.4. მომხმარებელს ეკრძალება ვებ.გვერდზე მისი წესებისგან განსხვავებული განცხადების განთავსება;
- 4.5. თუ მომხმარებელს უჩნდება რაიმე სახის პრეტენზია ან გაუგებრობა სხვა მომხმარებლის მიმართ, იგი წარადგენს თავის პრეტენზიებს უშუალოდ მომხმარებელთან, რომლის მიმართაც აქვს პრეტენზია, კომპანიისგან დამოუკიდებლად. იგი ათავისუფლებს მმართველ კომპანიას (ასევე მის ნებისმიერ თანამშრომელს) ყოველგვარი მოთხოვნებისგან; მათ შორის: ზარალის კომპენსაციისგან, ხარჯების ანაზღაურებისგან და ნებისმიერი დანახარჯის ანაზღაურებისგან დაკავშირებული საიტის მეშვეობით შემდგარ შეთანხმებასთან;
- 4.6. საიტის გამოყენება მომხმარებელს შეუძლია ყოველგვარი გარანტიის გარეშე, და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისა;
- 4.7. მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას საიტზე განთავსებული ინფორმაციის შესახებ, საიტი მას აძლევს საშუალებას მიაწოდოს ინფორმაცია სხვა მომხმარებლებს.

#### **5. თანხების დაბრუნება**

- 5.1. განმცხადებლის პირადი ანგარიშის შევსება და ხარჯვა ხდება მხოლოდ განმცხადებლის სურვილისამებრ. თანხა შესაძლებელია დაიხარჯოს მხოლოდ ვებ-გვერდის მომსახურებებზე.
- 5.2. განმცხადებელს თანხა დაუბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვებ-გვერდი შეწყვეტს ფუნქციონირებას და ამ გარემოების დადგომამდე განმცხადებლის ანგარიშზე ბოლო 1 თვის განმავლობაში განხორციელდა მინიმუმ ერთი ტრანზაქცია.
- 5.3. 5.2. გარემოებების გარდა განმცხადებელს თანხა არ დაუბრუნდება.
- 5.4. განმცხადებლის მიერ დაშვებული შეცდომის შემთხვევაში გადახდილი თანხა არ აუნაზღაურდება განმცხადებელს, შეცდომის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს.
- 5.5. იმ შემთხვევაში თუ მომსახურება ფასიანია და განმცხადებლის მიერ განცხადება მოხსნილი იქნება ვადის ამოწურვამდე განმცხადებელს გადახდილი თანხა უკან არ დაბრუნდება.